დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს "სქილვილ"-ის მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ვასაძე
წევრები:
ლია ხარებავა
თეა ბარამაშვილი
დავით ბიტმალკიშევი
თორნიკე თუთარაშვილი
ინგა კალანდაძე
მაია ხურცილავა

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს სქილვილ

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

საიდენტიფიკაციო კოდი: 406258730

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის MES 0 26 0000189397 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს, „გრაფიკული დიზაინის", „Front end დეველოპმენტის", „კომპიუტერული ქსელი და სისტემების", „აღმზრდელის" და „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „ბ.ბ" და „ბ.დ" კომპონენტთან „გრაფიკული დიზაინის", „Front end დეველოპმენტის", „კომპიუტერული ქსელი და სისტემების", „აღმზრდელის" და „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება; აგრეთვე დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „დ.ა" და „დ.ბ" კომპონენტთან და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „ე.ა" და „ე.ბ" კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაგეგმილ ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 5-ივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა შპს „სქილვილ"-ში 2026 წლის 4 და 5 მარტს, მისამართი: ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. No16. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა შპს „სქილვილ"-ის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, აკადემიურ დირექტორს, ხარისხის მართვის გუნდის უფროსს, ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებულ პერსონალს კომპეტენციის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, განმახორციელებლებს და პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალური რესურსი, საერთო სარგებლობის სივრცეები, A გარემოს სივრცეები, A-B გარემოს სივრცეები, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და ციფრული ბიბლიოთეკა, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
გრაფიკული დიზაინი	440	398	21	22
აღმზრდელი	80	64	-	10
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	120	112	-	8
Front-end პროგრამირება (თბილისი)	200	185	7	13
ბუღალტრული აღრიცხვა	160	150	4	6

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს „სქილვილ“ აქტიურად იყენებს ინოვაციურ ციფრულ ინსტრუმენტებს სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციისა და მონაცემთა ეფექტიანი დამუშავების მიზნით. ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით მომუშავე დეველოპერები მუდმივად ზრუნავენ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების ავტომატიზაციასა და გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით გამოიყენება პლატფორმა Zapier, რომელშიც ინტეგრირებულია AI აგენტები. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს კვლევითი მონაცემების დამუშავებას, ვაკანსიების შესაბამის კანდიდატთა CV-ების პირველად შერჩევას, ასევე სტუდენტებისთვის პროფესიონალური CV-ების გენერირებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროცესების ეფექტიანობასა და რესურსების უფრო ოპტიმალურ გამოყენებას.

დაწესებულების ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (Information and Communication Technologies - ICT) მიმართულების სტრატეგიული განვითარება. კოლეჯი აღნიშნულ სფეროს განსაზღვრავს როგორც პრიორიტეტულ მიმართულებას და აქტიურად მუშაობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე. ამ მიზნით, დაწესებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ICT მიმართულებით ახალი პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ინიცირებასა და განვითარებას. აღნიშნული ხედვის ფარგლებში, დაწესებულებამ დააინიცირა შემდეგი მიმართულებების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება: 1. IT პროექტების მართვა; 2. მონაცემთა მართვა; 3. პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება; 4. ციფრული მარკეტინგი; 5. ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი. აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიულ მიდგომას პროფესიული განათლების განვითარებაში და ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს ინოვაციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4) ადამიანური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
გრაფიკული დიზაინი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
Front-end პროგრამირება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
აღმზრდელი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ზუღალტრული აღრიცხვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

5.1.1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში მდებარე შენობის მატერიალური რესურსებით აღჭურვა.
5.1.1.11. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი სივრცის მოწყობა.
5.1.2.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.
5.2.1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში მდებარე შენობის საჭირო IT ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

2.2.1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში ხუთივე პროგრამის განხორციელებისთვის სივრცეების საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

შპს „სქილვილ“-მა 2026 წლის 26 მარტის No 00005617 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დაწესებულებამ აღნიშნა შემდეგი:

1. Front-end პროგრამირება:
   - „პროგრამის სახელწოდება Front-end დეველოპმენტი - უნდა იყოს Front-end პროგრამირება“-ვიზიტის განხორციელებამდე დაწესებულებას ცენტრში 2026 წლის 24 თებერვალს წარმოდგენილი ჰქონდა No 00003439 კორესპოდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შეიცვლა პროგრამის სახელწოდება Front-end დეველოპმენტი - Front-end პროგრამირებით და წარმოდგენილი იყო პროგრამის განახლებული პაკეტი დამტკიცების აქტთან ერთად-ექსპერტებმა გათვალისწინეს აღნიშნული გარემოება. შესაბამისად, დასკვნის პროექტში მოცემული პროგრამის სახელწოდება, რომელიც ფორმულირებული იყო დაწესებულების განაცხადის მიხედვით, შეიცვალა და საბოლოო დასკვნაში ჩამოყალიბდა დაწესებულების მიერ საბოლოო ეტაპზე წარმოდგენილი სახელწოდებით. ექსპერტებმა გაიზიარეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ეს ნაწილი.

   - „2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით (გვ. 30) - მიღება განხორციელდება 8 ჯგუფად და სწავლების განხორციელება ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის დასწრებული, ხოლო 6 ჯგუფისთვის დისტანციურ ფორმატში - ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტის მიხედვით, უნდა იყოს სწავლების განხორციელება ორ ცვლაში 3 ჯგუფისთვის დასწრებული, ხოლო 5 ჯგუფისთვის დისტანციურ ფორმატში.“-დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ”Front-end დეველოპმენტი“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების“ დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იყო რომ „დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, შპს სქილივილის კოლეჯს შეუძლია ერთი მიღების ფარგლებში 200 პროფესიული სტუდენტის მიღება 4 ჯგუფად და სწავლების განხორციელება ორ ცვლაში 1 ჯგუფისთვის დასწრებული, ხოლო 3 ჯგუფისთვის დისტანციურ ფორმატში.“-შესაბამისად ექსპერტებმა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტის და ვიზუალური დათვალიერების შესაბამისად, გამოთვალეს 2 ჯგუფი დასწრებული, ხოლო 6 ჯგუფი დისტანციური ფორმით. ექსპერტთა მიერ არ იქნა გაზიარებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ეს ნაწილი, რადგან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცით არ დასტურდება, რომ დასკვნის პროექტი შეიცავდა ტექნიკურ ხარვეზს.

2. გრაფიკული დიზაინი:

   „გრაფიკული დიზაინი - 2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით (გვ. 41) - კოლეჯი ჯგუფებში სტუდენტთა გადანაწილებას ახორციელებს ორ ცვლაში (50+50+20+20) - კოლეჯი გეგმავს ჯგუფებში სტუდენტთა გადანაწილებას ორ ცვლაში რაოდენობით 40-40.“-დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინი“ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ შპს სქილივილის კოლეჯს შეუძლია ერთი მიღების ფარგლებში 20 პროფესიული სტუდენტის მიღება და სწავლების განხორციელება დისტანციურ რეჟიმში.“ ზღვრული რაოდენობის დასაბუთება წარმოდგენილი იყო მხოლოდ 20 პროფესიულ სტუდენტზე, რის დამატებსაც დაწესებულება გეგმავდა წარმოების ფარგლებში. აღნიშნული ინფორმაცია ვიზიტისას დაზუსტდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად. ამასთან, ექსპერტთა ვიზიტის დროს აუდიტორიებში ინვენტარი განთავსებული არ იყო, თუმცა არსებული სივრცეები იძლეოდა შესაძლებლობას, დასკვნის პროექტში წარმოდგენილი გაანგარიშების შესაბამისად წარმართულიყო სასწავლო პროცესი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც იწვევს 2.2 კომპონენტის მეტწილ შესაბამისობას. ვიზიტისას ექსპერტები დაეყრდნენ დაწესებულების წარმომადგენელთა ზეპირ განმარტებებს და ჯგუფებთან დაკავშირებული ინფორმაცია დასკვნის პროექტში ზემოაღნიშნული ფორმით ასახეს. ამასთან, 2026 წლის 26 მარტის No 00005617 კორესპოდენციით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (ან მანამდე) არ ყოფილა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დაწესებულების პოზიციას. შესაბამისად, ექსპერტებმა არ გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება.

3. ბუღალტრული აღრიცხვა:

„ბუღალტრული აღრიცხვა - 2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით (გვ. 63) - კოლეჯი აპირებს განახორციელოს პროგრამა სრულად დისტანციურ რეჟიმში გარდა „მეწარმეობის“ მოდულისა - კოლეჯი აპირებს განახორციელოს პროგრამა ორი ჯგუფისთვის (80 სტუდენტი) დასწრებულ რეჟიმში, ხოლო დანარჩენი რაოდეონობისთვის (320 სტუდენტი) - დისტანციურ რეჟიმში.“-შპს„სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 1 ივლისის №10303 ბრძანებით დამტკიცებულ “ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის დოკუმენტის მე-7 მუხლში აღნიშნულია, რომ “პროგრამის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობა თითოეული მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში მითითებულია პროგრამის დანართ N 4-ში. პროგრამის დისტანციურ რეჟიმში წარმართვის შემთხვევაში პროგრამა განხორციელდება დანართ 4 -ში მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად.”-პროგრამა ითავლისწინებდა წარმოდგენილი სქემის მიხედვით სრულად დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტში არ იყო აღნიშნული ეს გარემოება. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ”ბუღალტრული აღრიცხვა“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“, რომელშიც ზღვრული რაოდენობის დასაბუთება წარმოდგენილი იყო მხოლოდ 240 პროფესიულ სტუდენტზე, რის დამატებსაც დაწესებულება გეგმავდა წარმოების ფარგლებში. დოკუმენტში აღნიშნული იყო რომ „ა) კოლეჯი აპირებს დაიმატოს 240 პროფესიული სტუდენტის ადგილი და განახორციელოს პროგრამა სრულად დისტანციურ რეჟიმში გარდა „მეწარმეობის“ მოდულისა“. დამატებით ინფორმაცია ვიზიტისას დაზუსტდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად. ამასთან, ექსპერტთა ვიზიტის დროს აუდიტორიებში ინვენტარი განთავსებული არ იყო, თუმცა არსებული სივრცეები იძლეოდა შესაძლებლობას, დასკვნის პროექტში წარმოდგენილი გაანგარიშების შესაბამისად წარმართულიყო სასწავლო პროცესი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რაც იწვევს 2.2 კომპონენტის მეტწილ შესაბამისობას. ვიზიტისას ექსპერტები დაეყრდნენ დაწესებულების წარმომადგენელთა ზეპირ განმარტებებს და ჯგუფებთან დაკავშირებული ინფორმაცია დასკვნის პროექტში ზემოაღნიშნული ფორმით ასახეს. ამასთან, 2026 წლის 26 მარტის No 00005617 კორესპოდენციით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (ან მანამდე) არ ყოფილა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დაწესებულების პოზიციას. შესაბამისად, ექსპერტებმა არ გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება.

4. აღმზრდელი:

„აღმზრდელი - 2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას (გვ. 78) - ინდიკატორი 2. აღწერილია პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, რაც არ არის განსაზღვრული აღნიშნული პროგრამისთვის.“-დასკვნის პროექტში 2.2.1.1 ინდიკატორის აღწერაში ცალსახად არის დაფიქსირებული, რომ პროგრამა სრულად ხორციელდება ფიზიკურ გარემოში. 2.4.1.2. ინდიკატორში აღწერილია ზოგადად კარგი პრაქტიკა, თუ როგორ ერგება დაწესებულება სტუდენტების საჭიროებებს. ინდიკატორის აღწერაში არ არის დაფიქსირებული რომ კონკრეტულად „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ამ მიდგომით, არამედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

აღწერილია დაწესებულებაში არსებული მექანიზმი. თუმცა რადგანაც ეს მექანიზმი ამ ეტაპზე უშუალოდ ამ პროგრამას არ მიემართება, ექსპერტებმა გაიზიარეს დაწესებულების პოზიცია და საბოლოო დასკვნის ფორმირებისას ამოღებულ იქნა აღნიშნული პრაქტიკა 2.4.1.2. ინდიკატორის აღწერიდან.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

1. სქილვილის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №00017631 დამტკიცებული დოკუმენტით „დებულება“ კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად პერსონალს/სტრუქტურულ ერთეულს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, აკადემიური დირექტორი, ადმინისტრაციული დირექტორი, ხარისხის მართვის გუნდი, სასწავლო პროცესის მართვის გუნდი, კარიერული განვითარების გუნდი, ინსტიტუციური განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის გუნდი, ფილიალის მართვის გუნდი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის გუნდი, ორგანიზაციული მხარდაჭერის გუნდი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და იურისტი; კოლეჯს ასევე, წარმოდგენილი აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა ორგანოგრამის სახით, სადაც სქემატურად არის მოცემული პერსონალის იერარქია და დაქვემდებარებები. „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“-ს დოკუმენტი მოიცავს თანამდებობრივი პოზიციის სამუშაო აღწერილობას, სადაც ჩანს პოზიციის მიხედვით შესასრულებელი დავალებები, სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პოზიციებს შორის კოორდინაციის საკითხი, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება/პასუხისმგებლობა. პერსონალის წარმოდგენილი პირად საქმეებზე დაყრდნობით, დაწესებულებაში დასაქმებულია 30 ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, რომლებთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს და თავიანთი პოზიციის შესაბამის სამუშაო აღწერილობებს, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტიანობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული ფუნქციები და პასუხისმგებლობები სრულად ფარავს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებასა და სტრატეგიული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული დასტურდება როგორც თანამშრომლებთან ვიზიტის დროს გასაუბრებებით, ისე კოლეჯის სამოქმედო გეგმაში მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მკაფიოდ განსაზღვრით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის მართვის გუნდი, რომელიც წარმოდგენილია სამსახურის უფროსის, მენეჯრისა და სპეციალისტის სახით. სამსახურის მიზანია ხარისხის ციკლის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს კოლეჯში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის და სხვა პროცესების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებს. სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები დაკავშირებულია სამსახურის წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან, კოლეჯში მიმდინარე პროცესების მონიტორინგსა და ხარისხის შეფასებასთან, ხარისხის შეფასების მიზნით სხვადასხვა მექანიზმების/ინსტრუმენტების შექმნასა და დანერგვასთან, ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელობასთან, ავტორიზაციისა და ხარისხის გარე უზრუნველყოფის სხვა მიმართულებებისთვის კოლეჯის მომზადებასთან, ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის შეფასებასთან და პერსონალისთვის საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის პროცესში კონსულტაციებთან და დახმარებასთან, რაც გამორიცხავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ინტერესთა კონფლიქტს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დებულება;
- ორგანიზაციული სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზურნველყოფის 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში პერსონალის მართვის საკითხები განსაზღვრულია დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N00017631 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ და „შინაგანაწესი“-ს დოკუმენტებით.

პერსონალის მართვის პოლიტიკის მთავარი მიზანია პერსონალის მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სქილვილში ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობას, ასევე ხელს შეუწყობს სქილვილში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა/შენარჩუნებასა და ისეთი გარემოს ფორმირებას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. კოლეჯში ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი ეფუძნება 4 ძირითად მიმართულებას: საკადრო პოლიტიკის დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოს მართვა და ორგანიზაციიდან გასვლა. დოკუმენტით უზრუნველყოფილია ახალი კადრის საჭიროების განსაზღვრის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, მიღების, კონკურსის ჩატარების, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის, პერსონალის მიერ შსრულებული სამუშაოს მართვისა და ორგანიზაციიდან გასვლის საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

აკადემიის შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი განსაზღვრავს დასაქმებულის უფლებებსა და მოვალეობებს, შრომითი ურთიერთობების წარმოშობის, წარმართვისა და შეწყვეტის წესებს. დოკუმენტი უზრუნველყოფს სამართლიან, გამჭვირვალე და უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სადაც გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეთიკური საკითხი. შესწავლილი დოკუმენტებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯში პერსონალის მართვა, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებები პერსონალთან შესაბამისობაშია როგორც შინაგანაწესთან, ასევე საქართველოს შრომის კოდექსთან და დაწესებულების სხვა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, შესაბამისად, აღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერები ადასტურებს პერსონალის მხრიდან შინაგანაწესით დარეგულირებული შრომითი ურთიერთობის საკითხების გაცნობას. ასევე, შესწავლილი დოკუმენტების (ბრძანებები, განცხადებები და ა.შ) პერსონალის პოზიციაზე დანიშვნის პროცესებში დაცულია როგორც შიდა მარეგულირებელი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში და პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯში პერსონალის მართვის საკითხები დარეგულირებულია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ქმნის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესის წარმართვისთვის და უზრუნველყოფს პროცედურების შესაბამისობას როგორც შიდა რეგულაციებთან, ისე მოქმედ კანონმდებლობასთან. კოლეჯში პერსონალის მოზიდვა ხორციელდება როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან. შიდა წყაროს წარმოადგენს შიდა ვაკანსიის გამოცხადება ან/და როტაცია, ხოლო გარე წყაროებს-კოლეჯის ოფიციალურ სოც. ქსელებში ან/და შესაბამის დასაქმების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული განცხადებები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პოზიციებზე ინფორმაციის გავრცელებას და კანდიდატთა ფართო წრის მოზიდვას.

პერსონალის შერჩევის პროცესი მიმდინარეობს (ღია/დახურული) კონკურსით ან კონკურსის გარეშე, გაწეული რეკომენდაციის საფუძველზე. კონკურსის წესით პირის შერჩევის პროცესი მოიცავს კოლეჯის მიერ ვაკანსიის შესახებ განაცხადის მომზადებას, კონკურსანტის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, კომისიის ფორმირებას, ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, წარმოდგენილი განაცხადების დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და დოკუმენტების შესწავლას, კანდიდატთა შეფასება და საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებას. არსებული პრაქტიკის შესწავლისა და პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი კონკურსის გზით სრულად შეესაბამება დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს.

პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების გაცნობით გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი არსებითი პირობები როგორიცაა: მხარეთა შესახებ ინფორმაცია, ტერმინთა განმარტება, ხელშეკრულების საგანი, დასაქმების პირობები, საავტორო უფლებები, დასაქმების ვადა, შრომითი ანაზღაურება, სამუშაო ადგილი და სამუშაო საათები, ზეგანაკვეთური დრო, შვებულება, სამუშაო აღწერილობა, დასაქმების შეზღუდვა, ხელშეკრულების შეწყვეტა, კონფიდენციალურობა, პერსონალური მონაცემები და მათი გადაცემის/დამუშავების წესი, მოქმედი სამართალი და დავების გადაწყვეტა, მხარეთა შორის სამსახურეობრივი კომუნიკაცია, ხელშეკრულების მთლიანობა, ხელშეკრულების ენა და ხელშეკრულების ეგზემპლარი. ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა ადასტურებს, რომ ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისნი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები.

შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ხორციელდება თანამშრომლის პირადი საქმის წარმოება ელექტრონულად, რომელიც წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. პირადი საქმე მოიცავს ავტობიოგრაფიას ან CV-ს, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, პირადობის მოწმობის ასლს, ნასამართლეობის ცნობას, შრომით ხელშეკრულებას და სერტიფიკატებს. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პირად საქმეში ინახება განსაზღვრულ თანამდებობაზე პერსონალის აყვანისთვის საჭირო დოკუმენტაცია. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს თანამშრომელთა დოკუმენტაციის სრულობას და შესაბამისობას კვალიფიკაციის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

3. კოლეჯს დოკუმენტით „სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსხვავებული თანამდებობისთვის ინდივიდუალურად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები და დადგინდა, რომ თითოეულ პირად საქმეში განთავსებულია ავტობიოგრაფია ან CV, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები,სერტიფიკატები, პირადობის მოწმობის ასლი, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა, შრომითი ხელშეკრულება, სამუშაო აღწერილობები, რომელიც მოიცავს როგორც პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებს ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ თანამშრომლების კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია პოზიციით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის მართვის პროცესები ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას, რაც დასტურდება შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და დამკვიდრებული პრაქტიკით. სტრუქტურის, რეგულაციების და პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში უზრუნველყოფილია პერსონალის ერთობლივი ჩართულობა სამუშაო ჯგუფების მეშვეობით. ასევე, პერსონალთან გასაუბრებები, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების შექმნის ბრძანებები, მათი მუშაობის ამსახველი ოქმები ადასტურებს, კოლეჯში გუნდური მუშაობის ეფექტიანობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სამუშაო ჯგუფების ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ განსაზღვრავს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის მექანიზმებსა და პროცედურებს, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯი გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. დოკუმენტის მიხედვით, შეფასების მიზანია უზრუნველყოს კოლეჯის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობები. პერსონალის შეფასების სისტემა გულისხმობს ხარისხობრივ ან/და რაოდენობრივ შეფასებას და შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგი ასპექტების შეფასებას: უნარები, დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი, რესურსები და ინსტრუმენტები, სამუშაო გარემო, კარიერული განვითარება, სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი, აღიარება და მოტივაცია, უკუკავშირი და კომუნიკაცია; შეფასება კოლეჯში ხორციელდება კითხვარების, უშუალო ხელმძღვანელის მიერ, დაკვირვების, თვითშეფასების, გადასაუბრების და სხვა მეთოდების გამოყენებით წელიწადში ერთხელ. პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება გეგმავს შეფასება წარმართოს მის მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის მართვის პოლიტიკის მიხედვით კოლეჯში პერსონალის პროფესიული განვითარების მიზანია უზრუნველყოს კოლეჯის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობები. სამუშაოს შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის საფუძველზე, კოლეჯი პერსონალს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებას, გამოცდილების გაცვლასა და თანამედროვე პრაქტიკების დანერგვას. განვითარების პროცესში გამოიყენება ტრენინგები, პროექტები, კონფერენციები, დელეგირება, სამუშაოს გამრავალფეროვნება, თვითგანივითარება, კონსტრუქციული უკუკავშირი და სხვა. არსებული თანამშრომლების პროფესიული განვითარება იგეგმება წლიური საოქმედო გეგმის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და ორგანიზაციულ საჭიროებებთან შესაბამისობას, ხოლო თანამშრომელთა ინიციატივების გათვალისწინება ზრდის პროცესის მოქნილობასა და მოტივაციურ ეფექტს. გარდა ამისა, კოლეჯის შინაგანაწესის შესაბამისად, კოლეჯი პერსონალის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად აორგანიზებს პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს ან უზრუნველყოფს მათ ჩართულობას პროფესიული გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა სასწავლო კურსში, რომელიც პერსონალს დასაქმების საათებში ეთვლება და ანაზღაურებადია. პერსონალი თავის მხრივ ვალდებულია დაესწროს და გაიაროს კოლეჯის მიერ ორგანიზებული ან/და დაფინანსებული პროფესიული გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა სასწავლო კურსი/სწავლებები/პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები.

მიმდინარე პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა ადმინისტრაციული პერსონალისთვის ორგანიზებული ტრენინგების ციკლი თემაზე სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული პირების შესაძლებლობების გაძლიერება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით (2025წ). რაც ხაზს უსვამს კოლეჯის მუდმივ სწრაფვას ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების, პერსონალის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისკენ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

3. პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის დოკუმენტები ითვალისწინებს აკადემიის პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და კარიერული წინსწვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. განვითარების პროცესში გამოიყენება ტრენინგები, პროექტები, კონფერენციები, დელეგირება, სამუშაოს გამრავალფეროვნება, თვითგანვითარება, კონსტრუქციული უკუკავშირი და სხვა. არსებული თანამშრომლების პროფესიული განვითარება იგეგმება წლიური საოქმედო გეგმის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და ორგანიზაციულ საჭიროებებთან შესაბამისობას. შესწავლილი პრაქტიკის საფუძველზე დადასტურდა, რომ, კოლეჯი სტისტემატურად ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე. რომელიც ეხმარება მათ თანამედროვე სასწავლო მეთოდოლოგიების, ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიის უახლესი ტენდენციების გაცნობასა და დანერგვაში. რაც დასტურდება კოლეჯის მიერ შეთავაზებული შიდა ტრენინგების ციკლით „პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით“ (2025წ). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯში ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან ხორციელდება პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის დოკუმენტების გათვალისწინებით. დოკუმენტების მიხედვით, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე კანდიდატი ვალდებულია გაეცნოს ხელშეკრულებასა და შემდეგ დოკუმენტებს: კოლეჯის წესდება, დებულება, "სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების" მარეგულირებელი დოკუმენტი, პოლიტიკის დოკუმენტი, სქილვილის შინაგანაწესი, სპეციფიკის შესაბამისად, კოლეჯში მოქმედი სხვა შიდა სამართლებრივი აქტები. კოლეჯში, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია: ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა; ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან; საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და კოლეჯში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება. კოლეჯში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვისა და შესყიდვების მენეჯერი, უშუალო ხელმძღვანელი და კოლეგები წინასწარ შემუშავებული თანამშრომლის ადაპტაციის გეგმის მიხედვით. აღნიშნული გეგმა, გაწერილია ერთ თვეზე და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ადაპტაციის გეგმა ამცირებს თანამშრომლის გაურკვევლობას და ზრდის მისი ინტეგრაციის სისწრაფესა და მოტივაციას. კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ახალი თანამშრომელი დეტალურად ეცნობა და ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი წესის გაცნობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.შინაგანაწესის დოკუმენტით პერსონალის წახალისების საფუძველი შესაძლოა გახდეს პერსონალის მიერ განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის დავალების შესრულება ან მათი საქმიანობის შეფასების დადებითი შედეგები. ხოლო პერსონალის მართვის პოლიტიკის მიხედვით, პერსონალის შენარჩუნებისა და წახალისების მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს თანამშრომლების განვითარებაზე მორგებულ ინდივიდუალურ გეგმას მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით; ანაზღაურების, ბენეფიტების პაკეტისა და სამუშაო პირობების გადახედვას, რაც გულისხმობს შრომის ანაზღაურების გაზრდასა და შეღავათიანი შრომით დატვირთვას; პიროვნული და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. გარდა ამისა, შინაგანაწესი ითვალისწინებს რომ კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლებელია დაიგეგმოს არამხოლოდ კოლეჯის მიერ, არამედ პერსონალსაც აქვს შესაძლებლობა გამოიჩინოს ინიციატივა საკუთარ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებების საფუძველზე ირკვევა, რომ თანამშრომლების ინიციატივები პროფესიული განვითარების მიმართულებით ყოველთვის სრულად მხარდაჭერილია კოლეჯის მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯი ფოკუსირებულია პერსონალის პროფესიული უნარების გაძლიერებასა და მოტივაციის შემდგომ მხარდაჭერაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალურ, ისე ორგანიზაციულ განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

- კოლეჯის პერსონალის პროფესიული განვითარების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- პერსონალის შეფასების ფორმები;
- ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის მართვის მექანიზმები;
- 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს სქილვილი ვიზიტისას წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერების თანახმად, ფლობს 3599.4 კვ.მ ფართს 6 წლის ვადით 2026 წლის 02 მარტს დამოწმებული ქვეიჯარის ხელშეკრულებით, ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში მდებარე შენობაში, რომლის საერთო ფართი შეადგენს : შენობა N1„ა" ბლოკი (მშენებარე) საერთო ფართი 7429.1 კვ.მ. შენობა N2„ბ" ბლოკი საერთო ფართით 11547.5 კვ.მ. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა საჯარო რეესტრის 8 ამონაწერი შემდეგი მონაცემებით:

- საკადასტრო კოდი: 01.17.13.041.018.01.05.001-საოფისე ფართი N1-ნულოვანი სართული-434 კვ.მ;
- საკადასტრო კოდი: N 01.17.13.041.018.01.05.002 საოფისე ფართი N2-1 სართული-451.60 კვ.მ;
- საკადასტრო კოდი: N 01.17.13.041.018.01.05.003 საოფისე ფართი N3-2 სართული-451.60 კვ.მ;
- საკადასტრო კოდი: N 01.17.13.041.018.01.05.004 საოფისე ფართი N4-3 სართული-451.60 კვ.მ;
- საკადასტრო კოდი: N 01.17.13.041.018.01.05.005 საოფისე ფართი N5-4 სართული-451.60 კვ.მ;
- საკადასტრო კოდი: N 01.17.13.041.018.01.05.006 საოფისე ფართი N6-5 სართული-451.60 კვ.მ;
- საკადასტრო კოდი: N 01.17.13.041.018.01.05.007 საოფისე ფართი N7-6 სართული-453.70 კვ.მ;
- საკადასტრო კოდი: N 01.17.13.041.018.01.05.008 საოფისე ფართი N8-7 სართული-453.70 კვ.მ;

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტისას დაათვალიერა დაწესებულების ფართი, რომელშიც სარემონტო სამუშაოები თითქმის დასრულებული იყო, თუმცა შენობა არ იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის No4134 ბრძანებით(ცვლილება 2026 წლის 05 მარტის No 00004352 ბრძანება) დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები. დაწესებულება ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მოწესრიგებას გეგმავს 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. ექსპერტებმა შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს, რის საფუძველზეც დაასკვნეს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში მდებარე შენობის მატერიალური რესურსებით აღჭურვა.

2. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანების მე-14 დანართით(ცვლილება 2025 წლის 20 სექტემბრის № 00017643 ბრძანება) დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი". აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლი არეგულირებს კოლეჯის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხებს. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სასწავლო აუდიტორიებით, რესურცენტრით, ასევე შენობაში არსებული საერთო და დასასვენებელი სივრცეებით შრომის უსაფრთხოების წესებისა და შესაბამისი რეგულაციების დაცვით. პროფესიული სტუდენტები სასწავლო მიზნებისთვის იყენებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას, ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და სხვა სასწავლო რესურსებს, რაც ასევე დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შპს „სქილვილ"-სა და შპს „ედუ მენეჯმენტს" შორის 2026 წლის 02 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშკრულების მეოთხე მუხლის მე-18 პუნქტის თანახმად მეიჯარე თავად უზრუნველყოფს ფართში ჰიგიენური ნორმების დაცვას, რისთვისაც გამოყოფილი ჰყავს დიასახლისი, რომელთანაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და იჯარის გამცემი თავად აკონტროლებს, რომ საიჯარო ფართზე მუდმივად იყოს დიასახლისი, რომელიც უზრუნველყოფს საიჯარო ფართისა და მასში განთავსებული ტექნიკა-ინვენტარის სისუფთავეს, დეზინფექციას. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების" დოკუმენტში გაწერილია დიასახლისის ფუნქცია-მოვალეობები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ანგარიშვალდებულება გარე კოტრაქტზეა გატანილი. ვიზიტისას, ექსპერტებმა დაათვალიერეს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში მდებარე შენობა, მიუხედავად იმისა, რომ შენობაში სულად არ იყოს დასრულებული კოსმეტიკური სამუშაოები, მაქსიმალურად იყოს დაცული ჰიგიენური ნორმები და იყო სუფთა მდგომარეობაში. ვიზიტისას შესწავლილ იქნა ასევე დაწესებულების წინარე პრაქტიკა მისამართზე: თბილისი, ნიკიფორე ირბახის, ქ.17, სადაც შემუშავებული იყოს სპეციალური ფორმები, რომელშიც დიასახლისი აღრიცხავდა დასუფთავებასთან დაკაშირებულ ინფორმაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და წინარე პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „სქილვილ"-სა და შპს „ედუ მენეჯმენტს" შორის 2026 წლის 02 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშკრულების მეორე მუხლის მე-2 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის თანახმად, შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ვიზიტისას ექსპერტებმა დაათვალიერეს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში მდებარე დაწესებულების ინფტრასტრუქტურა. შენობაში დამონტაჟებულია ჭერში ინტეგრირებული ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელსაც ემსახურება შესაბამისი საქვაბე მოწყობილობა. ადგილზე განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ გათბობის სისტემის ძირითადი კომპონენტები, მათ შორის საქვაბე დანადგარი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, ფუნქციონირებისათვის საჭირო მდგომარეობაში იმყოფება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულებაში დანერგილია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2020 წლის 20 ოქტომბრის № 00019950 ბრძანებით. დაწესებულება უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვას, თანამშრომლების ინფორმირებას შესაბამისი მოთხოვნებისა და პროცედურების შესახებ, ასევე საჭიროების შემთხვევაში ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს სამუშაო პროცესში შესაძლო რისკების შემცირების მიზნით. დაწესებულებაში გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების მართვის ელემენტები, მათ შორის სამუშაო სივრცეების უსაფრთხოების მონიტორინგი, თანამშრომლებისთვის შესაბამისი ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების მიწოდება, ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძირითადი პროცედურების არსებობა. შპს სეიფთი ლაბსა და შპს სქილვილს (ს/კ: 406258730) შორის 2025 წლის 14 ივლისს გაფორმებული N 14/07/25/01 მომსახურეობის ხელშეკრულების გათვალისწინებით, შპს სქილვილის ობიექტზე, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის პირები, რომელთაც კვალიფიკაციაც დასტურდება შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის-სეუს მიერ 2025 წლის 27 თებერვალს გაცემული N000579 და N000071 სერტიფიკატებით, რომლებიც ძალაშია 2028 წლის 25 თებერვლის ჩათვლით. დაწესებულების თანამშრომლებს ჩატარებული აქვთ შესაბამისი ინსტრუქტაჟები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანების მე-16 დანართით დამტკიცებული „შპს "სქილვილ"-ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და და ნარჩენების უტილიზაციის წესით". დოკუმენტის თანახმად, პროგრამის ფარგლებში სასწავლო მასალების აღრიცხვას, შენახვასა და გამოყენებას კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერი. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების განსაზღვრა ხდება სტუდენტთა წარმატების მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანამშრომლობით. მიღებული ინფორმაცია მუშავდება ეტაპობრივად და წარედგინება ხელმძღვანელობას, რის საფუძველზეც დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას რესურსების შესყიდვაზე. შესყიდვას უზრუნველყოფს ადმინისტრაციული დირექტორი, ხოლო შეძენილი რესურსები ინახება კოლეჯის საწყობში შესაბამისი წესების დაცვით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. შპს „სქილვილ"-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს ორგანიზაციის მატერიალური, საინფორმაციო და სხვა რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. კოლეჯში დამტკიცებულია ხარისხის მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული დაწესებულებაში მიმდინარე ძირითადი პროცესები, მათ შორის მატერიალური და საინფორმაციო რესურსების მართვა, მათი გამოყენება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის გამოკითხვის ფორმებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რომლის საშუალებითაც ხდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებისა და უკუკავშირის შეგროვება. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება რესურსების მდგომარეობის შეფასების, არსებული საჭიროებების გამოვლენისა და მათი შემდგომი განვითარების დაგეგმვის მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. შენობა-ნაგებობაში თითოეულ სართულზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სანიტარული სივრცეები უზრუნველყოფილია წყლის მუდმივი მიწოდებით, აქვს უწყვეტი განათება და სათანადო ვენტილაცია, რაც ქმნის ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის აუცილებელ პირობებს. სანიტარული კვანძები მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას. ამასთანავე, ისინი ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის, რაც ხელს უწყობს დაწესებულებაში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

9. შპს „სქილვილ"-ის ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში მდებარე არსებული სასწავლო ფართები და ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი სივრცე-რესურცენტრი უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით, რაც ქმნის სასწავლო პროცესისა და ინდივიდუალური მუშაობისთვის სათანადო გარემოს. ბუნებრივი განათება უზრუნველყოფილია ფანჯრების და მინის კედლების მეშვეობით, ხოლო ხელოვნური განათების სისტემა საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში შენარჩუნდეს შესაბამისი განათების დონე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

10. შპს „სქილვილ"-ში, ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში , სათავსოებისა და სივრცეების განლაგება დაგეგმილია ფუნქციური პრინციპით და ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან წარმართვას. ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს სრული ინფრასტრუქტურა- სასწავლო აუდიტორიები, სამუშაო სივრცეები და ადმინისტრაციული სათავსოები განთავსებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს კომუნიკაციის სიმარტივე, პროცესების ოპტიმალური ორგანიზება და რესურსების ეფექტიანი გამოყენება. სივრცეების ასეთი განაწილება ქმნის ხელსაყრელ გარემოს სწავლებისა და თანამშრომლობისათვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

11. შპს „სქილვილ"-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა განთავსებულია ვებგვერდზე პროგრამების მიხედვით და მუდმივად ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის. ხოლო ბიბლიოთეკა-რესურსცენტრში გათვალისწინებულია კომპიუტერების არსებობა, რომელშიც ჩატვირთული იქნება ელექტრონული სახელმძღვანელოები და უზრუნველყოფილი იქნება ინტერნეტთან წვდომა. ამე ეტაპზე დაწესებულება ფლობს ბიბლიოთეკის აღჭურვისთვის საჭირო მატერიალური რესურსს, თუმცა რესურსცენტრისთვის გამოყოფილი სივრცე ამჟამად არ არის სრულად მოწყობილი და აღჭურვილი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის No4134

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ბრძანებით(ცვლილება 2026 წლის 05 მარტის No 00004352 ბრძანება) დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები. დაწესებულება ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მოწესრიგებას გეგმავს 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. ექსპერტებმა შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს, რის საფუძველზეც დაასკვნეს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი სივრცის მოწყობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულება;
- „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა;
- შპს სეიფთი ლაბთან 2025 წლის 14 ივლისს გაფორმებული N 14/07/25/01 ხელშეკრულება;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების სერტიფიკატები;
- „შპს "სქილვილ"-ის სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და და ნარჩენების უტილიზაციის წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

1. შპს „სქილვილ“-ში ვიზიტისას ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინფრასტრუქტურა. შენობის უსაფრთხოებას, შპს „სქილვილ“-სა და შპს „ედუ მენეჯმენტს“ შორის 2026 წლის 02 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, უზრუნველყოფს მეიჯარე, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს საიჯარო ფართის უსაფრთხოება დაცვის პერსონალით, რაც მოიცავს: შენობაში მუდმივი თანამშრომლის ყოფნას, 24/7 პატრულირებას, პოტენციური საფრთხეების პრევენციულ შემოწმებას, შესასვლელ-გასასვლელ პროცესზე ზედამხედველობას და შინაგანაწესისა და უსაფრთხოების წესების დაცვას. ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა ქ.თბილისი, ბოჭორმის ქ.N16-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.13.041.018) მდებარე მრავალფუნქციური შენობის (N01/12) ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც შენობა უსაფრთხოა მისი შემდგომი ექსპლუატაციისათვის. ექსპერტებმა მოითხოვეს ექსპერტიზის ჩამტარებელი ორგანოს/პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ამ შემთხვევაში ისარგებლეს სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №256 დადგენილების მე-3 მუხლით, რომ 2026 წლის 01 სექტემბრამდე აკრედიტებულ ინსპექტირების ორგანოებსა და სერტიფიცირებულ ექსპერტებთან ერთად სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება აქვს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ან პირს, თუ მას აქვს ა) შესაბამისი სპეციალობის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ: ბ.ბ) 10 წლის სტაჟი – II-IV კლასების შენობა-ნაგებობის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო დასკვნის შესადგენად. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა, ექსპერტიზის ჩამტარებელი პირის განათლება და სამუშაო გამოცდილება. აღნიშნულ პირს აქვს შესაბამისი განათლება-ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლის დიპლომი და 40 წელზე მეტი გამოცდილება მშენებლობის, 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება ექსპერტიზის მიმართულებით. აღნიშნული პირი 2012 წლიდან დღემდე არის შპს ოპტიმუსის დირექტორი. კომპანია ოპერირებს მშენებლობის, სამშენებლო ინსპექტირების და ექსპერტიზის მიმართულებით. შესაბამისად, მხედველობაში იქნა მიღებული ზემოთ აღნიშნული გარემოება ექსპერტთა მხრიდან. დაწესებულებამ ვიზიტისას ასევე წარმოადგინა ლიფტის ინსპექტირების სერტიფიკატი No 0016-26, რომლითაც დასტურდება რომ სამგზავრო ლიფტი უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის. ინსპექტირების განამხორციელებელი ორგანოს შესახებ ინფორმაცი გადამოწმდა ვებგვერდზე: https://gac.gov.ge/ge/accredited-body-details/tesla-ltd-dykf, აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემულ სერტიფიკატს GAC-IB-0187 შესაბამის სფეროში. ვიზიტისას დაწესებულებას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის No4134 ბრძანებით(ცვლილება 2026 წლის 05 მარტის No 00004352 ბრძანება) დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები. დაწესებულება გეგმავს მოიპოვოს დასკვნა შენობაბ-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. დამატებით დაწესებულებამ წარმოადგინა შპს სახანძრო ექსპერტიზის ბიუროსთან აღნიშნული მომსახურების შესყიდვის მიზნით 2026 წლის 21 იანვარს გაფორმებული N G-13 ხელშეკრულება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

2. შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანების 27-ე დანართით(ცვლილება 2025 წლის 20 სექტემბრის № 00017643 ბრძანება) დამტკიცებულია „პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესი“, რომლის მეოთხე მუხლი მოიცავს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული წესის თანახმად, კოლეჯი უზრუნველყოფს სამედიცინო პუნქტის პერიოდულ მომარაგებას: პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების ინვენტარით, პირადი ჰიგიენის ნივთებით, ისე, რომ მარაგი ყოველთვის ხელმისაწვდომი იყოს. პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას უზრუნველყოფს კვალიფიციური ექიმი, რომლის პირადი საქმეც გადამოწმდა ვიზიტისას. ელექტრონულ პირად საქმეში დაცულია პირის კვალიფიკაციის დამდასტურებელი დოკუმენტი დიპლომი და სახელმწიფოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ნებადართული საქმიანობის შესახებ, ასევე სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა შპს სქილვილ-ის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის № 00002643 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც ასევე შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან, რაც დასტურდება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის MIA 0 26 00501858 კორესპოდენციით. აღნიშნული წერილის, თანახმად შპს „სქილვილ“-ის საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება "საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გეგმა, სხვა ყველა სავალდებულო ნაწილთან ერთად, მოიცავს ქ.თბილისი, ბოჭორმის ქ.N16-ში მდებარე შენობაში შპს „სქილვილ“-ის მფლობელობაში არსებული სართულებისთვის საევაკუაციო გეგმებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „სქილვილ“-ში ვიზიტისას ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინფრასტრუქტურა. შენობის უსაფრთხოებას, შპს „სქილვილ“-სა და შპს „ედუ მენეჯმენტს“ შორის 2026 წლის 02 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, უზრუნველყოფს მეიჯარე, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს საიჯარო ფართის უსაფრთხოება დაცვის პერსონალით, რაც მოიცავს: შენობაში მუდმივი თანამშრომლის ყოფნას, 24/7 პატრულირებას, პოტენციური საფრთხეების პრევენციულ შემოწმებას, შესასვლელ-გასასვლელ პროცესზე ზედამხედველობას და შინაგანაწესისა და უსაფრთხოების წესების დაცვას. ვიზიტისას დამონტაჟებული იყო შიდა და გარე კამერები მთელს პერიმეტრზე. დაცვის უფლება-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობა განსაზღვრულია “სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების” მარეგულირებელი დოკუმენტით. შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანების 27-ე დანართით(ცვლილება 2025 წლის 20 სექტემბრის № 00017643 ბრძანება) დამტკიცებულია „პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესი“, რომლის მესამე მუხლი არეგულირებს წესრიგის დასცვასტან დაკავშირებულ საკითხებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- იჯარის ხელშეკრულება;
- ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა;
- ლიფტის შემოწმების სერტიფიკატი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

- პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესი;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის MIA 0 26 00501858 კორესპოდენცია;
- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ექიმის პირადი საქმე;
- შესაბამისობის უზურნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „სქილივილ“ ფლობს კომპიუტერულ ტექნიკას და სხვა ელექტრომოწყობილობებს. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება პროცესს აგრძელებს ახალ შენობაში, ამ ეტაპზე ჯერ არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი IT ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ახალ მისამართზე: ქ.თბილისი, ბოჭორმის ქ.N16. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის No4134 ბრძანებით(ცვლილება 2026 წლის 05 მარტის No 00004352 ბრძანება) დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები. დაწესებულება ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას გეგმავს 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. ექსპერტებმა შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს, რის საფუძველზეც დაასკვნეს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში მდებარე შენობის საჭირო IT ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2. დაწესებულება ახორციელებს IT რისკების მართვის პროცესს, რისთვისაც შემუშავებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის მეექვსე მუხლი ეხება IT რისკების მართვას. დოკუმენტში IT რისკების მართვის პროცესი სრულად არის სტრუქტურირებული და მოიცავს ყველა ძირითად კომპონენტს: რისკების იდენტიფიკაციას, შეფასებას, პრიორიტეტიზაციას, შერბილების ზომების განსაზღვრას, მუდმივ მონიტორინგსა და განახლებას. დამატებით, აქტიურად გამოიყენება თანამშრომლებისა და სტუდენტების ინფორმირების პროგრამები, რაც ზრდის ინფორმაციული უსაფრთხოების კულტურას დაწესებულებაში. ასეთი ორგანიზებული მიდგომა უზრუნველყოფს IT სისტემების სტაბილურობას, პროცესების უწყვეტ ფუნქციონირებას და რისკების ეფექტიან კონტროლს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შპს „სქილვილ"-ს 2025 წლის 03 დეკემბერს მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს მონაცემთა დაცვის ოფიცერთან. ხელშეკრულების თანახმად, ორგანიზაცია უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციების მომზადებასა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას; დამკვეთის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს; მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; დამკვეთის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს; მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამკვეთის თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „სქილვილ" ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. შეფასების პროცესში წარმოდგენილია შესაბამისი სამსახურის თანამშრომლის ანგარიში, რომელიც ასახავს არსებული IT ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას, გამოყენებულ სისტემებსა და პროცესების ეფექტიანობას. შპს „სქილვილ"-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს ორგანიზაციის მატერიალური, საინფორმაციო და სხვა რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. კოლეჯში დამტკიცებულია ხარისხის მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული დაწესებულებაში მიმდინარე ძირითადი პროცესები, მათ შორის მატერიალური და საინფორმაციო რესურსების მართვა, მათი გამოყენება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის გამოკითხვის ფორმებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რომლის საშუალებითაც ხდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებისა და უკუკავშირის შეგროვება. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება რესურსების მდგომარეობის შეფასების, არსებული საჭიროებების გამოვლენისა და მათი შემდგომი განვითარების დაგეგმვის მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

5. შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანების მე-14 დანართით(ცვლილება 2025 წლის 20 სექტემბრის № 00017643 ბრძანება) დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“. აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლი არეგულირებს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის საკითხებს. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ შესაბამისი ინვენტარით აუდიტორიებში, ასევე რესურცენტრში. დამატებით, კოლეჯს ამავე ბრძანების მე-18 დანართით დამტკიცებული აქვს „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“. რესურსცენტრი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00–19:00 საათამდე და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის ელექტრონული ბიბლიოთეკის ძიების სისტემებით სარგებლობაში დახმარებასა და საჭირო სერვისებს. ცენტრში ხელმისაწვდომია კომპიუტერი, პრინტერი და სკანერი, ხოლო მომხმარებლებს შეუძლიათ იმუშაონ მხოლოდ რესურსცენტრში დაინსტალირებული და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით, მათ შორის სასწავლო პროგრამებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. შპს „სქილვილ“ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის დროულ და ეფექტიან ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმის/სისტემის საშუალებით. დაწესებულებას აქვს ელექტრონული ფოსტები როგორც პერსონალისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის. ასევე დაწესებულებას შემუშავებული აქვს LMS პლატფორმა. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის, ადმინისტრაციული შეტყობინებებისა და სხვა მნიშვნელოვანი სიახლეების ოპერატიულ გავრცელებას. ერთიანი საკომუნიკაციო პლატფორმის გამოყენება ხელს უწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და კომუნიკაციის გამარტივებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შპს მონაცემთა დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- IT სამსახურის ანგარიში;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
- LMS პლატფორმის ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 21 ივლისის №00013437 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმობის წესი". აღნიშნული დოკუმენტი თანხვედრაშია „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის №414 ბრძანებულებასთან. საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის ორგანიზების ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს. იგი მოიცავს ზოგად დებულებებს, სადაც განსაზღვრულია წესის მოქმედების სფერო და მისი გამოყენების საფუძვლები. წესით რეგულირდება შემოსული დოკუმენტების აღრიცხვა, მათ შორის შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესი, დოკუმენტაციის დამუშავება და ელექტრონულ ფორმატში კონვერტაცია, პროფესიული სტუდენტების განცხადებების მიღება-დამუშავება, ასევე ფოსტით შემოსული დოკუმენტების ადმინისტრირება. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს კოლეჯის მიერ დოკუმენტების შექმნისა და მოძრაობის წესს, მათ შორის დოკუმენტების შედგენის ზოგად პრინციპებს, შიდა სამართლებრივი და მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნის, ცვლილებისა და გაუქმების სისტემატიზაციას, აგრეთვე დოკუმენტების მოძრაობის ვადებსა და პროცედურებს. წესი არეგულირებს კოლეჯიდან გასული დოკუმენტაციის დამუშავებას, მათ შორის გასული დოკუმენტების რეგისტრაციას, ბეჭდისა და ფაქსიმილეს გამოყენებას, დოკუმენტებიდან ამონაწერების გაცემასა და დამოწმებას, ასევე დიპლომებისა და სერტიფიკატების ფორმების შენახვისა და გაცემის აღრიცხვის წესს. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი დოკუმენტების სისტემატიზაციის, ნომენკლატურისა და არქივირების პროცედურები, მათ შორის ელექტრონული ფორმით აღსარიცხი დოკუმენტები, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვა, სამუშაო შეხვედრების ოქმების გაფორმება და სისტემატიზაცია, რეგისტრაციის ჟურნალებისა და რეესტრების წარმოება, არქივში ჩასაბარებელი დოკუმენტების შემადგენლობა, მათი შენახვის ვადები და არქივში გადაცემის წესი. დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა Eflow, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციას, დამუშავებასა და უსაფრთხო მართვას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა eflow, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დოკუმენტების ელექტრონული რეგისტრაცია, დამუშავება, გადამისამართება და კონტროლი. ელექტრონული სისტემის გამოყენება უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ოპერატიულობას, ინფორმაციის სწრაფ ხელმისაწვდომობას, პროცესების გამჭვირვალობასა და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიან მართვას. პროფესიული სტუდენტები სასწავლო პროცესთან დაკავშირებული განცხადებების წარდგენას, მათ შორის სხვადასხვა სახის ცნობების მოთხოვნას, ახორციელებენ LMS პლატფორმის საშუალებით. სისტემის ფუნქციონალი თითოეულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას პირადი პროფილიდან გადავიდეს „ცნობების" შესაბამის ველში და ელექტრონულად გააგზავნოს შეტყობინება მისთვის საჭირო ინფორმაციის ან დოკუმენტის მიღების მოთხოვნით. სტუდენტის მიერ ინიცირებული განცხადება სისტემაში ავტომატურად რეგისტრირდება და მას ენიჭება უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი. პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე პასუხი მზადდება e-flow-ს სისტემაში. მომზადებული პასუხი ჩამოიტვირთება e-flow-ს სისტემიდან და აიტვირთება LMS სისტემაში, რომელსაც პროფესიული სტუდენტი ხედავს საკუთარი პროფილის გვერდზე „ცნობების" ველში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის სრულყოფილად და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შეტანას. დაწესებულებაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების, საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიური შედეგებისა და სხვა აუცილებელი მონაცემების დროულ და სწორ ასახვას შესაბამის ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნულ საქმიანობაზე, შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების" დოკუმენტის თანახმად, პასუხისმგებელია საქმისწარმოების და რეესტრის მენეჯერი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

4. შპს „სქილვილ“ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებებისთვის საჭირო ანგარიშების, ინფორმაციისა და უკუკავშირის დროულად მიწოდებას. დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ამზადებს და წარადგენს მოთხოვნილ მონაცემებსა და ანგარიშებს, ასევე უზრუნველყოფს შესაბამის უწყებებთან ეფექტიან კომუნიკაციასა და თანამშრომლობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმობის წესი;
- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების;
- გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „სქილვილ“-ის ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი წარმოადგენს მნიშვნელოვან საკომუნიკაციო და საინფორმაციო პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების, მიმდინარე სიახლეების, ღონისძიებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. აღნიშნული არხები რეგულარულად ახლდება და უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას გონივრულ ვადაში. ვებგვერდისა და სოციალური ქსელების გამოყენება ხელს უწყობს კომუნიკაციის ეფექტიანობას, გამჭვირვალობასა და დაწესებულებასა და საზოგადოებას შორის ინფორმაციის სწრაფ გაცვლას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. შპს „სქილვილ“-ის მისიაში პირდაპირ არ არის გაცხადებული საერთაშორისო თანამშრომლობა, თუმცა შპს „სქილვილ“-ის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში, კერძოდ მეოთხე სტრატეგიულ მიზანში, გათვალისწინებულია კოლეჯის ინტერნაციონალიზაცია და ეფექტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

თანამშრომლობის განვითარება პარტნიორებთან, მათ შორის რეგიონულ და საერთაშორისო სასწავლო ინსტიტუტებთან. დაგეგმილია პარტნიორობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება, გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა, კერძო სექტორთან სტრატეგიული ურთიერთობების გაფართოება და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება საგრანტო შესაძლებლობების გამოყენებით. დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მხარს უჭერს საერთაშორისო კომუნიკაციას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შპს „სქილვილ“ უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო, უტყუარი და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას. ინფორმაციის გამოქვეყნება ხორციელდება ოფიციალური საკომუნიკაციო არხების - მათ შორის ვებგვერდისა და სხვა საინფორმაციო პლატფორმების - მეშვეობით. დაწესებულება უზრუნველყოფს მონაცემების სიზუსტესა და დროულ განახლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო რესურსს, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების სრულყოფილ ინფორმირებას შპს „სქილვილ“-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კატალოგში თავმოყრილია ინფორმაცია მოქმედი პროგრამების, მათი მიზნების, მისაღები პირობების, სწავლების ფორმებისა და სხვა არსებითი მახასიათებლების შესახებ, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას. აღნიშნული დოკუმენტი ხელს უწყობს პოტენციურ სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად თითოეულ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია 2025 და 2026 წლების კატალოგები, რაც მიუთითებს რომ დაწესებულება უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. შპს „სქილვილ“ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით მიღებულ უკუკავშირს სისტემურად აანალიზებს და იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის მე-10 მუხლი არეგულირებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზთან დაკავშირებულ საკითხს. უკუკავშირი წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესების, ადმინისტრაციული მომსახურებისა და ორგანიზაციული საქმიანობის შეფასებასა და განვითარებას. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაგზავნონ საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, დაწესებულება თავადაც ახორციელებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს შემდგომი საქმიანობის დაგეგმვის პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- ვებგვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

5. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end პროგრამირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	400

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

6. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი მისამართზე: ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16. შპს „სქილვილის“ ინფრასტრუქტურა მოწყობილი იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „Front-end პროგრამირება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა იგეგმება კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხორციელდება A, B და C გარემოებში, რომლებიც აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით. დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერის პარამეტრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტისას არ იყო დასრულებული სასწავლო სივრცეების აღჭურვა. აღნიშნული სასწავლო გარემოები განკუთვნილია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის ჯამში 400 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის. მიღება განხორციელდება 8 ჯგუფად და სწავლების განხორციელება ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის დასწრებული, ხოლო 6 ჯგუფისთვის დისტანციურ ფორმატში.

ვინაიდან ახალ მისამართზე (ბოჭორმას ქ. №16) ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულების პროცესშია და არსებული მატერიალური რესურსის სრული გადატანა დაგეგმილია რემონტის დასრულებისთანავე, დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის No4134 ბრძანებით(ცვლილება 2026 წლის 05 მარტის No 00004352 ბრძანება) დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

საჭირო რესურსები. დაწესებულება ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მოწესრიგებას გეგმავს 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. ექსპერტებმა შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს, რის საფუძველზეც დაასკვნეს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვა.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end პროგრამირება“ განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა ოპტიმალური რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს ჰყავს დარგობრივი მოდულების 14 განმახორციელებელი პირი . ხოლო კვოტის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ დამატებით მოიზიდა 5 სპეციალისტი , რომლებთანაც გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი ან მეტი განმახორციელებელი, რაც პირდაპირ უწყობს ხელს პროგრამის მდგრადობას და გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკს პერსონალის შესაძლო დენადობის შემთხვევაში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები და განხორციელდა ინტერვიუირება როგორც მასწავლებლებთან, ისე პროგრამის ხელმძღვანელთან. გასაუბრებისა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ პედაგოგების კვირეული დატვირთვა არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონით - „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ ნორმებს (არაუმეტეს 40 საათი კვირაში). პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, განმახორციელებლებთან ერთად დეტალურად ჩამოყალიბდა სასწავლო კალენდარული გეგმა, სადაც გაწერილია მოდულების განხორციელების დღეები და დღიური საათობრივი დატვირთვა. ექსპერტთა შეფასებით, მასწავლებელთა რაოდენობა და მათი რაციონალური განაწილება მოდულების მიხედვით სრულად პასუხობს გაზრდილი კვოტის ფარგლებში წარმოქმნილ საჭიროებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსი და მათი სამუშაო გრაფიკი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობასა და ხარისხს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end პროგრამირება“ განხორციელებისათვის შერჩეულია კომპეტენტური პერსონალი კოლეჯის დებულებისა და დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრული დაცვით. თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (დიპლომი/სერტიფიკატი) ან/და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობებითა და პორტფოლიოებით. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა არსებით პირობას და მკაფიოდ განსაზღვრავს მათ მიერ განსახორციელებელ მოდულებს. ინტერვიუირების პროცესში დადასტურდა, რომ მასწავლებლები ფლობენ მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების გამომუშავების მეთოდოლოგიას. მათ გავლილი აქვთ შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, მათ შორის სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების სისტემების მიმართულებით.

ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული გასაუბრებები ცხადყოფს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ მასწავლებლებს აქვთ არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული უნარებიც, რაც აუცილებელია პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების სრულფასოვნად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

გადასაცემად. პერსონალი სიღრმისეულად ფლობს შეფასების ინსტრუმენტების მომზადებისა და მართვის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების ობიექტურ და ვალიდურ შეფასებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „სქილვილის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „Front-end პროგრამირება" ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განვითარებისა და დაგეგმილი კვოტის გაზრდის ფარგლებში, კოლეჯმა განახორციელა პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება, რაც მიზნად ისახავს მენეჯმენტის გაძლიერებასა და ხარისხის მართვის გაუმჯობესებას. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა შპს „სქილვილის" დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის No 00003350 ბრძანების საფუძველზე, რომლითაც კორექტირება შევიდა 2025 წლის 1 ივლისის No10303 ბრძანებაში. პროგრამის ხელმძღვანელი შერჩეულია გამჭვირვალე საკონკურსო პროცესის შედეგად, რაც უზრუნველყოფს პოზიციაზე კვალიფიციური კადრის დანიშვნას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (CV, სერტიფიკატები) დასტურდება, რომ ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი დარგობრივი და პედაგოგიური გამოცდილება.

ხელშეკრულებისა და ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესებზე. იგი უშუალოდ მონაწილეობს მოდულების მოდიფიცირებაში, სასწავლო რესურსების შერჩევასა და პროფესიულ მასწავლებელთა კოორდინაციაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. შპს „სქილვილის" საგანმანათლებლო პროგრამაში „Front-end პროგრამირება" მითითებული ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის. დაწესებულებაში პრიორიტეტი ენიჭება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, რის გამოც რესურსების ძირითადი ნაწილი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს და მასალებზე სწრაფ წვდომას ნებისმიერ დროს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ დეტალურად შემოწმდა მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა. დადასტურდა, რომ ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი წარმოადგენს ციფრული რესურსების ერთიან ბაზას, რომელიც მოიცავს როგორც საკითხავ მასალებს, ისე ვიდეო ლექციებს და მოდულების სპეციფიკის შესაბამის დოკუმენტაციას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „Front-end პროგრამირების" პროგრამისთვის საჭირო ქართულენოვან რესურსებს, რომლებიც სრულად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში.

ინტერვიუირებისას პროფესიულმა მასწავლებლებმა და ბიბლიოთეკარმა დაადასტურეს, რომ სასწავლო მასალები მუდმივად ახლდება დარგის განვითარების შესაბამისად. სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა სასწავლო პლატფორმაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, დაუბრკოლებლად გამოიყენონ პროგრამით გათვალისწინებული რესურსები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობებისას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. შპს „სქილვილის" სასწავლო პროცესის მართვის წესის მე-19 მუხლის შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულებაში შექმნილია შესაბამისი გარემო, რათა სსსმ პირებმა სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება და საზოგადოებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ინტეგრაცია. კოლეჯის რეგულაციებით გარანტირებულია სსსმ პირთა წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია მათი ადაპტირება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მოთხოვნებისა და სტუდენტის სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი შიდა დოკუმენტაცია და განხორციელდა ინტერვიუირება პასუხისმგებელ პირებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. შპს „სქილვილის“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end პროგრამირება“ განხორციელების მდგრადობა, მათ შორის კვოტის გაზრდის ფარგლებში დამატებული 200 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსების მოდელით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლითაც რენტაბელურობის ზღვარი განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტით.

აღნიშნული ბიუჯეტი მოიცავს ყველა აუცილებელ ხარჯს: პერსონალის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სპეციფიკური კომპიუტერული აპლიკაციების ლიცენზიების შეძენას, ასევე სტუდენტთა პროფესიულ აქტივობებსა და სხვა საოპერაციო ხარჯებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი ფინანსური გათვლები, რის საფუძველზეც დადასტურდა, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი გაზრდილი კვოტის ფარგლებში პროგრამის შეუფერხებელი და მდგრადი განხორციელებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის პაკეტი;
- განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი;
- ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- გასაუბრების შედეგები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს სასწავლო გეგმების საფუძველზე. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

მეცადინეობები დაგეგმილია და ტარდება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სტუდენტთა წარმატების მენეჯერის მიერ შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებულობასა და უწყვეტობას. სასწავლო ცხრილების შესაბამისობას სასწავლო გეგმებთან აკონტროლებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რაც ხელს უწყობს პროგრამის მიზნების ეფექტიან მიღწევას. მეცადინეობების სასწავლო ცხრილი, გამომდინარეობს სასწავლო გეგმიდან და სწავლის დაწყებამდე განთავსდება LMS სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროებების შესაბამისად ახორციელებს მოქნილ რეაგირებას. სტუდენტთა აკადემიური და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ხდება სასწავლო პროცესის დაგეგმვის ოპტიმიზაცია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს სწავლების ალტერნატიული ფორმით განხორციელებას. იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც სტანდარტი იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი მოდულები ხორციელდება დისტანციური ფორმატით, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას და მოქნილობას. აღნიშნული საკითხი რეგულირდება შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" მეექვსე თავით. შპს „სქილვილის" სასწავლო პროცესის მართვის გუნდი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესის ორგანიზებას - სასწავლო გეგმის შესაბამისად ცხრილების შედგენას და დისტანციური პლატფორმის შერჩევა/გამართულ ფუნქციონირებას. დისტანციური სწავლებისას საკონტაქტო საათი შეადგენს 50 წუთს. კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, ჩატი, სადისკუსიო ფორუმები და პლატფორმები (Slack, Zoom, Google Meet და სხვ.). კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

და მასწავლებლებისთვის შესაბამისი პლატფორმების ხელმისაწვდომობას და კონსულტაციას მათი გამოყენების შესახებ. ამ ეტაპზე დაწესებულებას შესყიდული აქვს zoom-ს ექაუნთები, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილია ინვოისი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების საფუძველზე, რაც გულისხმობს სწავლების ინტერაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია პრაქტიკული სავარჯიშოები, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ქეის-ანალიზი და სხვა აქტიური სწავლების ფორმები, რომლებიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევების განვითარებას. ასევე გამოიყენება დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიები და ციფრული რესურსები, მათ შორის ელექტრონული პლატფორმები და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტიანობას, ხელმისაწვდომობასა და ხარისხის ამაღლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისას ხდება სტუდენტთა განსხვავებული შესაძლებლობების, სწავლის ტემპის, აკადემიური მომზადებისა და საჭიროებების შეფასება, რის საფუძველზეც გამოიყენება შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმები. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" მე-17 მე-18 მუხლებით რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო მე-19 მუხლით- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე პროგრამაზე არ სწავლობს სსსმ სტუდენტი. ინდივიდუალური მიდგომა ასევე მოიცავს დამატებით კონსულტაციებს, განმავითარებელ უკუკავშირს, საჭიროების შემთხვევაში სასწავლო მასალების ადაპტაციასა და სწავლების პროცესის მოქნილ ორგანიზებას. დაწესებულებას LMS პლატფორმაში აქვს შექმნილი შესაბამისი ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც სტუდენტი ნიშნავს განმახორციელებელთან კონსულტაციას ხელმისაწვდომი გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას და სწავლის პროცესში თანაბარ ჩართულობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. შესაბამისად, დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტი არ ჰყავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

6. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი შიდა რეგულაციებითა და ორგანიზაციული ღონისძიებებით. დაცულია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები, ხოლო ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ დგას დამატებითი უსაფრთხოების წესების შემუშავების საჭიროება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის პაკეტი;
- „სასწავლო პროცესის მართვა";
- Zoom-ის ინვოისი;
- გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" დოკუმენტის მეხუთე თავი, კერძოდ, 22-ე და 23-ე მუხლები, არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებულ მექანიზმებს. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა როგორც აღნიშნული მექანიზმი, ისე არსებული პრაქტიკა უკვე გავლილი მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებით. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ობიექტურ და კომპლექსურ შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები განსაზღვრულია წინასწარ და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. თითეულ ინსტრუმენტს გავლილი აქვს ვალიდიაცია, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობასა და სანდოობას. შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე და სამართლიანი - სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების ფორმების, კრიტერიუმებისა და ქულების მინიჭების წესების შესახებ, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17631 ბრძანებით(ცვლილება 15.01.2026 № 00000516 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომლის მესამე მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციასთან დაკაშირებულ საკითხებს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. შეფასების შედეგების გადამოწმება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტების ხარისხის კონტროლს და მიღებული შედეგების შესაბამისობის შემოწმებას განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. შპს „სქილვილ"-მა, როგორც ავტორიზირებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, პირველად სტუდენტთა მიღება განახორციელა 2025 წლის შემოდგომაზე. შესაბამისად, დაწესებულებას ვერიფიკაციის ჩატარების პრაქტიკა არ აქვს. დაწესებულებამ ვიზიტისას ექსპერტებს წარუდგინა შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის № 00028394 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამოქმედო გეგმა 2026", რომლის თანახმადაც დაწესებულება შეფასების ინსტრუმენტის, მტკიცებულებების და პროცესის ვერიფიკაციის პირველი ეტაპი დაგეგმილი აქვს 2026 წლის ივნისსა და ივლისში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ფორმდება დადგენილი წესით და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. აღნიშნული საკითხი რეგულირდება შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" 24-ე მუხლით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. როგორც განმახორციელებლებმა აღნიშნეს ექსპერტებთან გასაუბრებისას, შეფასების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტუდენტთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რაც საშუალებას იძლევა დაიგეგმოს შესაბამისი მხარდამჭერი აქტივობები. მიღებული შედეგები გამოიყენება კონსულტაციების, დამატებითი განმარტებების, ინდივიდუალური მუშაობისა და საჭიროების შემთხვევაში სწავლების პროცესის კორექტირების მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სასწავლო პროცესის მართვა“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამოქმედო გეგმა 2026";
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულს სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	460
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი მისამართზე: ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16. შპს „სქილვილის“ ინფრასტრუქტურა მოწყობილი იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „გრაფიკული დიზაინი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, იგეგმება კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხორციელდება A, B და C გარემოებში, რომლებიც აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით. დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერის პარამეტრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტისას არ იყო დასრულებული სასწავლო სივრცეების აღჭურვა. აღნიშნული სასწავლო გარემოები განკუთვნილია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის ჯამში 460 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის. კოლეჯში ამჟამად სწავლობს 200 პროფესიული სტუდენტი დისტანციური სწავლების ფორმით და იგეგმება კვოტის გაზრდა 20 სტუდენტით (დისტანციური სწავლების ფორმით), რაც ჯამში შეადგენს 6 ჯგუფს (40-40 სტუდენტი), ხოლო 240 სტუდენტი სწავლობს სააუდიტორიო სწავლებით (6 ჯგუფი, 2 ცვლაში). კოლეჯი ჯგუფებში სტუდენტთა გადანაწილებას ახორციელებს ორ ცვლაში (50+50+20+20), ხოლო პრაქტიკული მეცადინეობებისას იგეგმება ჯგუფების გაყოფა: დისტანციური სწავლების შემთხვევაში 20-20 სტუდენტი ჯგუფში, ხოლო სააუდიტორიო სწავლებისას 25-25 სტუდენტი.

ექსპერტთა ვიზიტისას დადგინდა, რომ ამჟამად სასწავლო პროცესი სრულფასოვნად მიმდინარეობს ნიკიფორე ირბახის ქუჩაზე, თუმცა დაწესებულება გეგმავს გადასვლას ახალ მისამართზე (ბოჭორმას ქ. №16), სადაც ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ვინაიდან ახალ ფართში ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულების პროცესშია და არსებული მატერიალური რესურსის სრული გადატანა დაგეგმილია რემონტის დასრულებისთანავე, დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის No4134 ბრძანებით(ცვლილება 2026 წლის 05 მარტის No 00004352 ბრძანება) დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები. დაწესებულება ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მოწესრიგებას გეგმავს 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. ექსპერტებმა შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს, რის საფუძველზეც დაასკვნეს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვა.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა ოპტიმალური რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს ჰყავს სულ 42 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 6 პირი ზოგადი მოდულების, ხოლო 36 პირი პროფესიული მოდულების მიმართულებით. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესში უშუალოდ ჩართულია 25 მასწავლებელი, ხოლო კვოტის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ დამატებით მოიზიდა 10 სპეციალისტი (8 პროფესიული და 2 ზოგადი მოდულებისთვის), რომლებთანაც გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი ან მეტი განმახორციელებელი, რაც პირდაპირ უწყობს ხელს პროგრამის მდგრადობას და გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკს პერსონალის შესაძლო დენადობის შემთხვევაში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები და განხორციელდა ინტერვიუირება როგორც მასწავლებლებთან, ისე პროგრამის ხელმძღვანელთან. გასაუბრებისა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ პედაგოგების კვირეული დატვირთვა არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონით - „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ ნორმებს (არაუმეტეს 40 საათი კვირაში). პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, განმახორციელებლებთან ერთად დეტალურად ჩამოყალიბდა სასწავლო კალენდარული გეგმა, სადაც გაწერილია მოდულების განხორციელების დღეები და დღიური საათობრივი დატვირთვა. ექსპერტთა შეფასებით, მასწავლებელთა რაოდენობა და მათი რაციონალური განაწილება მოდულების მიხედვით სრულად პასუხობს გაზრდილი კვოტის ფარგლებში წარმოქმნილ საჭიროებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსი და მათი სამუშაო გრაფიკი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობასა და ხარისხს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებისათვის შერჩეულია კომპეტენტური პერსონალი კოლეჯის დებულებისა და დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრული დაცვით. თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (დიპლომი/სერტიფიკატი) ან/და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობებითა და პორტფოლიოებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრაფიკული დიზაინის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა არსებით პირობას და მკაფიოდ განსაზღვრავს მათ მიერ განსახორციელებელ მოდულებს. ინტერვიუირების პროცესში დადასტურდა, რომ მასწავლებლები ფლობენ მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების გამომუშავების მეთოდოლოგიას. მათ გავლილი აქვთ შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, მათ შორის სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების სისტემების მიმართულებით.

ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული გასაუბრებები ცხადყოფს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ მასწავლებლებს აქვთ არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული უნარებიც, რაც აუცილებელია პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების სრულფასოვნად გადასაცემად. პერსონალი სიღრმისეულად ფლობს შეფასების ინსტრუმენტების მომზადებისა და მართვის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

სტუდენტთა მიღწევების ობიექტურ და ვალიდურ შეფასებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „სქილვილის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „გრაფიკული დიზაინი“ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განვითარებისა და დაგეგმილი კვოტის გაზრდის ფარგლებში, კოლეჯმა განახორციელა პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება, რაც მიზნად ისახავს მენეჯმენტის გაძლიერებასა და ხარისხის მართვის გაუმჯობესებას. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 2 თებერვლის №00001758 ბრძანების საფუძველზე, რომლითაც კორექტირება შევიდა 2025 წლის 1 ივლისის №10303 ბრძანებაში. პროგრამის ხელმძღვანელი შერჩეულია გამჭვირვალე საკონკურსო პროცესის შედეგად, რაც უზრუნველყოფს პოზიციაზე კვალიფიციური კადრის დანიშვნას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, მათ შორის ხელშეკრულება (№ მ03/2026), სადაც დეტალურად არის გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (CV, სერტიფიკატები) დასტურდება, რომ ხელმძღვანელს აქვს მრავალწლიანი დარგობრივი და პედაგოგიური გამოცდილება (2014 წლიდან), მათ შორის სხვადასხვა პროფესიულ კოლეჯებში გრაფიკული დიზაინის მიმართულების კურირებისა და მართვის კუთხით. მისი კომპეტენცია ასევე გამყარებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებით სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიასა და ინკლუზიურ განათლებაში.

ხელშეკრულებისა და ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესებზე. იგი უშუალოდ მონაწილეობს მოდულების მოდიფიცირებაში, სასწავლო რესურსების შერჩევასა და პროფესიულ მასწავლებელთა კოორდინაციაში. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხელმძღვანელი თავად არის პროგრამის 8 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი, რაც მას აძლევს შესაძლებლობას, სიღრმისეულად მართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს სტუდენტთა საჭიროებების ადეკვატური ასახვა პროგრამაში. ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულად აცნობიერებს თავის როლს კოლეჯის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში და ფლობს პროგრამის განვითარების მკაფიო ხედვას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. შპს „სქილვილის“ საგანმანათლებლო პროგრამაში „გრაფიკული დიზაინი“ მითითებული ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის. დაწესებულებაში პრიორიტეტი ენიჭება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, რის გამოც რესურსების ძირითადი ნაწილი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს და მასალებზე სწრაფ წვდომას ნებისმიერ დროს.

რესურსების ორგანიზებული მართვის მიზნით, კოლეჯში მოქმედებს „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს მასალებზე წვდომის პირობებს, ძიების სისტემას და საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმებს. სტუდენტები და პერსონალი სარგებლობენ სპეციალური სასწავლო პლატფორმით, რომლის გამოყენების წესები, უსაფრთხოების სტანდარტები და კონფიდენციალურობის პოლიტიკა მკაფიოდ არის რეგლამენტირებული. გარდა ელექტრონული ბაზისა, დაწესებულებაში მოქმედებს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკაში არსებული რესურსით სარგებლობის წესს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ დეტალურად შემოწმდა მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა. დადასტურდა, რომ ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი წარმოადგენს ციფრული რესურსების ერთიან ბაზას, რომელიც მოიცავს როგორც საკითხავ მასალებს, ისე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ვიდეო ლექციებს და მოდულების სპეციფიკის შესაბამის დოკუმენტაციას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გრაფიკული დიზაინის პროგრამისთვის საჭირო ქართულენოვან რესურსებს, რომლებიც სრულად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში.

ინტერვიუირებისას პროფესიულმა მასწავლებლებმა და ბიბლიოთეკარმა დაადასტურეს, რომ სასწავლო მასალები მუდმივად ახლდება დარგის განვითარების შესაბამისად. სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა სასწავლო პლატფორმაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, დაუბრკოლებლად გამოიყენონ პროგრამით გათვალისწინებული რესურსები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობებისას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. შპს „სქილვილის“ სასწავლო პროცესის მართვის წესის მე-19 მუხლის შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულებაში შექმნილია შესაბამისი გარემო, რათა სსსმ პირებმა სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. კოლეჯის რეგულაციებით გარანტირებულია სსსმ პირთა წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია მათი ადაპტირება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მოთხოვნებისა და სტუდენტის სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი შიდა დოკუმენტაცია და განხორციელდა ინტერვიუირება პასუხისმგებელ პირებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. შპს „სქილვილის“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელების მდგრადობა, მათ შორის კვოტის გაზრდის ფარგლებში დამატებული 20 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსების მოდელით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც სპეციალურად გათვლილია 20 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე.

აღნიშნული ბიუჯეტი მოიცავს ყველა აუცილებელ ხარჯს, რაც დაკავშირებულია კვოტის ფარგლებში სტუდენტთა სწავლებასთან: პერსონალის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სპეციფიკური კომპიუტერული აპლიკაციების ლიცენზიების შეძენას, ასევე სტუდენტთა პროფესიულ აქტივობებსა და სხვა საოპერაციო ხარჯებს. მნიშვნელოვანია, რომ შემოსავლებისა და ხარჯების გათვლა ეფუძნება რენტაბელობის ზღვარს, რაც ადასტურებს, რომ დამატებული 20 სტუდენტის მიღება ფინანსურად გამართლებულია და არ უქმნის საფრთხეს პროგრამის სტაბილურობას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი ფინანსური გათვლები, რის საფუძველზეც დადასტურდა, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი გაზრდილი კვოტის ფარგლებში პროგრამის შეუფერხებელი და მდგრადი განხორციელებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარ, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის პაკეტი;
- განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

- ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- გასაუბრების შედეგები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს სასწავლო გეგმების საფუძველზე. შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის“ 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

მეცადინეობები დაგეგმილია და ტარდება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სტუდენტთა წარმატების მენეჯერის მიერ შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებულობასა და უწყვეტობას. სასწავლო ცხრილების შესაბამისობას სასწავლო გეგმებთან აკონტროლებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რაც ხელს უწყობს პროგრამის მიზნების ეფექტიან მიღწევას. მეცადინეობების სასწავლო ცხრილი, გამომდინარეობს სასწავლო გეგმიდან და სწავლის დაწყებამდე განთავსდება LMS სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროებების შესაბამისად ახორციელებს მოქნილ რეაგირებას. სტუდენტთა აკადემიური და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ხდება სასწავლო პროცესის დაგეგმვის ოპტიმიზაცია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს სწავლების ალტერნატიული ფორმით განხორციელებას. იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც სტანდარტი იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი მოდულები ხორციელდება დისტანციური ფორმატით, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას და მოქნილობას. აღნიშნული საკითხი რეგულირდება შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" მეექვსე თავით. შპს „სქილვილის" სასწავლო პროცესის მართვის გუნდი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესის ორგანიზებას - სასწავლო გეგმის შესაბამისად ცხრილების შედგენას და დისტანციური პლატფორმის შერჩევა/გამართულ ფუნქციონირებას. დისტანციური სწავლებისას საკონტაქტო საათი შეადგენს 50 წუთს. კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, ჩატი, სადისკუსიო ფორუმები და პლატფორმები (Slack, Zoom, Google Meet და სხვ.). კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის შესაბამისი პლატფორმების ხელმისაწვდომობას და კონსულტაციას მათი გამოყენების შესახებ. ამ ეტაპზე დაწესებულებას შესყიდული აქვს zoom-ს ექაუნთები, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილია ინვოისი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების საფუძველზე, რაც გულისხმობს სწავლების ინტერაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია პრაქტიკული სავარჯიშოები, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ქეის-ანალიზი და სხვა აქტიური სწავლების ფორმები, რომლებიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევების განვითარებას. ასევე გამოიყენება დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიები და ციფრული რესურსები, მათ შორის ელექტრონული პლატფორმები და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტიანობას, ხელმისაწვდომობასა და ხარისხის ამაღლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.დაწესებულებაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისას ხდება სტუდენტთა განსხვავებული შესაძლებლობების, სწავლის ტემპის, აკადემიური მომზადებისა და საჭიროებების შეფასება, რის საფუძველზეც გამოიყენება შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმები. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" მე-17 და მე-18 მუხლებით რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო მე-19 მუხლით- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე პროგრამაზე არ სწავლობს სსსმ სტუდენტი. ინდივიდუალური მიდგომა ასევე მოიცავს დამატებით კონსულტაციებს, განმავითარებელ უკუკავშირს, საჭიროების შემთხვევაში სასწავლო მასალების ადაპტაციასა და სწავლების პროცესის მოქნილ ორგანიზებას. დაწესებულებას LMS პლატფორმაში აქვს შექმნილი შესაბამისი ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც სტუდენტი ნიშნავს განმახორციელებელთან კონსულტაციას ხელმისაწვდომი გრაფიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას და სწავლის პროცესში თანაბარ ჩართულობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. შესაბამისად, დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტი არ ჰყავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

6.დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი შიდა რეგულაციებითა და ორგანიზაციული ღონისძიებებით. დაცულია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები, ხოლო ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ დგას დამატებითი უსაფრთხოების წესების შემუშავების საჭიროება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის პაკეტი;
- „სასწავლო პროცესის მართვა“;
- Zoom-ის ინვოისი;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის“ დოკუმენტის მეხუთე თავი, კერძოდ, 22-ე და 23-ე მუხლები, არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებულ მექანიზმებს. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა როგორც აღნიშნული მექანიზმი, ისე არსებული პრაქტიკა უკვე გავლილი მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებით. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ობიექტურ და კომპლექსურ შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები განსაზღვრულია წინასწარ და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. თითეულ ინსტრუმენტს გავლილი აქვს ვალიდიაცია, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობასა და სანდოობას. შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე და სამართლიანი - სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების ფორმების, კრიტერიუმებისა და ქულების მინიჭების წესების შესახებ, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი შიდა დოკუმენტაცია და განხორციელდა ინტერვიუირება პასუხისმგებელ პირებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. შპს „სქილვილის“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების მდგრადობა. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსების მოდელით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლითაც რენტაბელურობის ზღვარი განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტით.

აღნიშნული ბიუჯეტი მოიცავს ყველა აუცილებელ ხარჯს: პერსონალის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სპეციფიკური კომპიუტერული აპლიკაციების ლიცენზიების შეძენას, ასევე სტუდენტთა პროფესიულ აქტივობებსა და სხვა საოპერაციო ხარჯებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი ფინანსური გათვლები, რის საფუძველზეც დადასტურდა, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი გაზრდილი კვოტის ფარგლებში პროგრამის შეუფერხებელი და მდგრადი განხორციელებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის პაკეტი;
- განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი;
- ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- გასაუბრების შედეგები;
- საკანონმდებლო მაცნეს მომსახურების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს სასწავლო გეგმების საფუძველზე. შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის“ 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

მეცადინეობები დაგეგმილია და ტარდება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სტუდენტთა წარმატების მენეჯერის მიერ შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებულობასა და უწყვეტობას. სასწავლო ცხრილების შესაბამისობას სასწავლო გეგმებთან აკონტროლებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რაც ხელს უწყობს პროგრამის მიზნების ეფექტიან მიღწევას. მეცადინეობების სასწავლო ცხრილი, გამომდინარეობს სასწავლო გეგმიდან და სწავლის დაწყებამდე განთავსდება LMS სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროებების შესაბამისად ახორციელებს მოქნილ რეაგირებას. სტუდენტთა აკადემიური და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ხდება სასწავლო პროცესის დაგეგმვის ოპტიმიზაცია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს სწავლების ალტერნატიული ფორმით განხორციელებას. იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც სტანდარტი იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი მოდულები ხორციელდება დისტანციური ფორმატით, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას და მოქნილობას. აღნიშნული საკითხი რეგულირდება შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის“ მეექვსე თავით. შპს „სქილვილის“ სასწავლო პროცესის მართვის გუნდი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესის ორგანიზებას - სასწავლო გეგმის შესაბამისად ცხრილების შედგენას და დისტანციური პლატფორმის შერჩევა/გამართულ ფუნქციონირებას. დისტანციური სწავლებისას საკონტაქტო საათი შეადგენს 50 წუთს. კომუნიკაციისთვის გამოიყენება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ელექტრონული ფოსტა, ჩატი, სადისკუსიო ფორუმები და პლატფორმები (Slack, Zoom, Google Meet და სხვ.). კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის შესაბამისი პლატფორმების ხელმისაწვდომობას და კონსულტაციას მათი გამოყენების შესახებ. ამ ეტაპზე დაწესებულებას შესყიდული აქვს zoom-ს ექაუნთები, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილია ინვოისი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების საფუძველზე, რაც გულისხმობს სწავლების ინტერაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია პრაქტიკული სავარჯიშოები, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ქეის-ანალიზი და სხვა აქტიური სწავლების ფორმები, რომლებიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევების განვითარებას. ასევე გამოიყენება დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიები და ციფრული რესურსები, მათ შორის ელექტრონული პლატფორმები და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტიანობას, ხელმისაწვდომობასა და ხარისხის ამაღლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისას ხდება სტუდენტთა განსხვავებული შესაძლებლობების, სწავლის ტემპის, აკადემიური მომზადებისა და საჭიროებების შეფასება, რის საფუძველზეც გამოიყენება შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმები. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" მე-17 მე-18 მუხლებით რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო მე-19 მუხლით- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე პროგრამაზე არ სწავლობს სსსმ სტუდენტი. ინდივიდუალური მიდგომა ასევე მოიცავს დამატებით კონსულტაციებს, განმავითარებელ უკუკავშირს, საჭიროების შემთხვევაში სასწავლო მასალების ადაპტაციასა და სწავლების პროცესის მოქნილ ორგანიზებას. დაწესებულებას LMS პლატფორმაში აქვს შექმნილი შესაბამისი ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც სტუდენტი ნიშნავს განმახორციელებელთან კონსულტაციას ხელმისაწვდომი გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას და სწავლის პროცესში თანაბარ ჩართულობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. შესაბამისად, დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტი არ ჰყავს. თუმცა პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს შპს „ადვექს აკადემიასთან", რომელიც უზრუნველყოფს დამატებული პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოყოფას და პროგრამაში ჩართულობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი შიდა რეგულაციებითა და ორგანიზაციული ღონისძიებებით. დაცულია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები, ხოლო ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ დგას დამატებითი უსაფრთხოების წესების შემუშავების საჭიროება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

- „სასწავლო პროცესის მართვა“;
- Zoom-ის ინვოისი;
- შპს „ადვექს აკადემიასთან“ გაფორმებული მემორანდუმი;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის“ დოკუმენტის მეხუთე თავი, კერძოდ, 22-ე და 23-ე მუხლები, არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებულ მექანიზმებს. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა როგორც აღნიშნული მექანიზმი, ისე არსებული პრაქტიკა უკვე გავლილი მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებით. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ობიექტურ და კომპლექსურ შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები განსაზღვრულია წინასწარ და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. თითეულ ინსტრუმენტს გავლილი აქვს ვალიდიაცია, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობასა და სანდოობას. შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე და სამართლიანი - სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების ფორმების, კრიტერიუმებისა და ქულების მინიჭების წესების შესახებ, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17631 ბრძანებით(ცვლილება 15.01.2026 № 00000516 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მესამე მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციასთან დაკაშირებულ საკითხებს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. შეფასების შედეგების გადამოწმება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტების ხარისხის კონტროლს და მიღებული შედეგების შესაბამისობის შემოწმებას განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. შპს „სქილვილ“-მა, როგორც ავტორიზირებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, პირველად სტუდენტთა მიღება განახორციელა 2025 წლის შემოდგომაზე. შესაბამისად, დაწესებულებას ვერიფიკაციის ჩატარების პრაქტიკა არ აქვს. დაწესებულებამ ვიზიტისას ექსპერტებს წარუდგინა შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის № 00028394 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამოქმედო გეგმა 2026", რომლის თანახმადაც დაწესებულება შეფასების ინსტრუმენტის, მტკიცებულებების და პროცესის ვერიფიკაციის პირველი ეტაპი დაგეგმილი აქვს 2026 წლის ივნისსა და ივლისში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ფორმდება დადგენილი წესით და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. აღნიშნული საკითხი რეგულირდება შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" 24-ე მუხლით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. როგორც განმახორციელებლებმა აღნიშნეს ექსპერტებთან გასაუბრებისას, შეფასების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტუდენტთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რაც საშუალებას იძლევა დაიგეგმოს შესაბამისი მხარდამჭერი აქტივობები. მიღებული შედეგები გამოიყენება კონსულტაციების, დამატებითი განმარტებების, ინდივიდუალური მუშაობისა და საჭიროების შემთხვევაში სწავლების პროცესის კორექტირების მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სასწავლო პროცესის მართვა";
- „ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამოქმედო გეგმა 2026";
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";
- შეფასების ინსტრუმენტები;
- განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	95
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი მისამართზე: ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16. შპს „სქილვილის“ ინფრასტრუქტურა მოწყობილი იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „აღმზრდელი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა იგეგმება კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხორციელდება A და B გარემოებში, რომლებიც აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით. დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერის პარამეტრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტისას არ იყო დასრულებული სასწავლო სივრცეების აღჭურვა. აღნიშნული სასწავლო გარემოები განკუთვნილია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის ჯამში 95 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის. მიღება განხორციელდება 3 ჯგუფად და სწავლების განხორციელება ორ ცვლაში ორ 40 კაციან ჯგუფში, ხოლო ერთ ცვლაში ერთ 15 კაციან ჯგუფში.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი მოდულის (გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება განხორციელება ქ. თბილისის ა(ა)იპ საბავშვო ბაგა-ბაღებში, ქ. თბილისის ა(ა)იპ საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკული გამოყენება, პროფესიული დავალებების შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილად განხორციელებას და სწავლის შედეგების მიღწევას.

ვინაიდან ახალ მისამართზე (ბოჭორმას ქ. №16) ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულების პროცესშია და არსებული მატერიალური რესურსის სრული გადატანა დაგეგმილია რემონტის დასრულებისთანავე, დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის No4134 ბრძანებით(ცვლილება 2026 წლის 05 მარტის No 00004352 ბრძანება) დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები. დაწესებულება ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მოწესრიგებას გეგმავს 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. ექსპერტებმა შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს, რის საფუძველზეც დაასკვნეს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. N16-ში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვა.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა ოპტიმალური რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს ჰყავს დარგობრივი მოდულების 10 განმახორციელებელი პირი. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი ან მეტი განმახორციელებელი.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები და განხორციელდა ინტერვიუირება როგორც მასწავლებლებთან, ისე პროგრამის ხელმძღვანელთან. გასაუბრებისა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ პედაგოგების კვირეული დატვირთვა არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონით - „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ ნორმებს (არაუმეტეს 40 საათი კვირაში). პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, განმახორციელებლებთან ერთად დეტალურად ჩამოყალიბდა სასწავლო კალენდარული გეგმა, სადაც გაწერილია მოდულების განხორციელების დღეები და დღიური საათობრივი დატვირთვა. ექსპერტთა შეფასებით, მასწავლებელთა რაოდენობა და მათი რაციონალური განაწილება მოდულების მიხედვით სრულად პასუხობს გაზრდილი კვოტის ფარგლებში წარმოქმნილ საჭიროებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსი და მათი სამუშაო გრაფიკი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობასა და ხარისხს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებისათვის შერჩეულია კომპეტენტური პერსონალი კოლეჯის დებულებისა და დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრული დაცვით. თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (დიპლომი/სერტიფიკატი) ან/და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობებითა და პორტფოლიოებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა არსებით პირობას და მკაფიოდ განსაზღვრავს მათ მიერ განსახორციელებელ მოდულებს. ინტერვიუირების პროცესში დადასტურდა, რომ მასწავლებლები ფლობენ მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების გამომუშავების მეთოდოლოგიას. მათ გავლილი აქვთ შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, მათ შორის სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების სისტემების მიმართულებით.
ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული გასაუბრებები ცხადყოფს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ მასწავლებლებს აქვთ არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული უნარებიც, რაც აუცილებელია პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების სრულფასოვნად გადასაცემად. პერსონალი სიღრმისეულად ფლობს შეფასების ინსტრუმენტების მომზადებისა და მართვის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების ობიექტურ და ვალიდურ შეფასებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „სქილვილის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „აღმზრდელი“ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განვითარებისა და დაგეგმილი კვოტის გაზრდის ფარგლებში, კოლეჯმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

განახორციელა პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება, რაც მიზნად ისახავს მენეჯმენტის გაძლიერებასა და ხარისხის მართვის გაუმჯობესებას. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 02 თებერვლის № 00001758 ბრძანების საფუძველზე, რომლითაც კორექტირება შევიდა 2025 წლის 1 ივლისის №10303 ბრძანებაში. პროგრამის ხელმძღვანელი შერჩეულია გამჭვირვალე საკონკურსო პროცესის შედეგად, რაც უზრუნველყოფს პოზიციაზე კვალიფიციური კადრის დანიშვნას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (CV, სერტიფიკატები) დასტურდება, რომ ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი დარგობრივი და პედაგოგიური გამოცდილება.

ხელშეკრულებისა და ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პროცესებზე. იგი უშუალოდ მონაწილეობს მოდულების მოდიფიცირებაში, სასწავლო რესურსების შერჩევასა და პროფესიულ მასწავლებელთა კოორდინაციაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. შპს „სქილვილის“ საგანმანათლებლო პროგრამაში „აღმზრდელი“ მითითებული ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის. დაწესებულებაში პრიორიტეტი ენიჭება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, რის გამოც რესურსების ძირითადი ნაწილი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს და მასალებზე სწრაფ წვდომას ნებისმიერ დროს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ დეტალურად შემოწმდა მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა. დადასტურდა, რომ ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი წარმოადგენს ციფრული რესურსების ერთიან ბაზას, რომელიც მოიცავს როგორც საკითხავ მასალებს, ისე ვიდეო ლექციებს და მოდულების სპეციფიკის შესაბამის დოკუმენტაციას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „აღმზრდელის“ პროგრამისთვის საჭირო ქართულენოვან რესურსებს, რომლებიც სრულად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში.

ინტერვიუირებისას პროფესიულმა მასწავლებლებმა და ბიბლიოთეკარმა დაადასტურეს, რომ სასწავლო მასალები მუდმივად ახლდება დარგის განვითარების შესაბამისად. სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა სასწავლო პლატფორმაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, დაუბრკოლებლად გამოიყენონ პროგრამით გათვალისწინებული რესურსები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობებისას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. შპს „სქილვილის“ სასწავლო პროცესის მართვის წესის მე-19 მუხლის შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულებაში შექმნილია შესაბამისი გარემო, რათა სსსმ პირებმა სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. კოლეჯის რეგულაციებით გარანტირებულია სსსმ პირთა წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია მათი ადაპტირება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მოთხოვნებისა და სტუდენტის სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი შიდა დოკუმენტაცია და განხორციელდა ინტერვიუირება პასუხისმგებელ პირებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. შპს „სქილვილის“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მდგრადობა. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსების მოდელით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლითაც რენტაბელურობის ზღვარი განსაზღვრულია 15 პროფესიული სტუდენტით.

აღნიშნული ბიუჯეტი მოიცავს ყველა აუცილებელ ხარჯს: პერსონალის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სპეციფიკური კომპიუტერული აპლიკაციების ლიცენზიების შეძენას, ასევე სტუდენტთა პროფესიულ აქტივობებსა და სხვა საოპერაციო ხარჯებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი ფინანსური გათვლები, რის საფუძველზეც დადასტურდა, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი გაზრდილი კვოტის ფარგლებში პროგრამის შეუფერხებელი და მდგრადი განხორციელებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის პაკეტი;
- განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი;
- ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- გასაუბრების შედეგები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს სასწავლო გეგმების საფუძველზე. შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის“ 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

მეცადინეობები დაგეგმილია და ტარდება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სტუდენტთა წარმატების მენეჯერის მიერ შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებულობასა და უწყვეტობას. სასწავლო ცხრილების შესაბამისობას სასწავლო გეგმებთან აკონტროლებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რაც ხელს უწყობს პროგრამის მიზნების ეფექტიან მიღწევას. მეცადინეობების სასწავლო ცხრილი, გამომდინარეობს სასწავლო გეგმიდან და სწავლის დაწყებამდე განთავსდება LMS სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროებების შესაბამისად ახორციელებს მოქნილ რეაგირებას. სტუდენტთა აკადემიური და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ხდება სასწავლო პროცესის დაგეგმვის ოპტიმიზაცია. დაწესებულება სწავლებას ახორციელებს ცვლებში. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, ცხრილის შედგენისას დაწესებულება ითვალისწინებს მათ საჭიროებებს და უმეტესად პროცესი ხორციელდება მათთვის მისაღებ საათებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების საფუძველზე, რაც გულისხმობს სწავლების ინტერაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია პრაქტიკული სავარჯიშოები, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ქეის-ანალიზი და სხვა აქტიური სწავლების ფორმები, რომლებიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევების განვითარებას. ასევე გამოიყენება დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიები და ციფრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

რესურსები, მათ შორის ელექტრონული პლატფორმები და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტიანობას, ხელმისაწვდომობასა და ხარისხის ამაღლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისას ხდება სტუდენტთა განსხვავებული შესაძლებლობების, სწავლის ტემპის, აკადემიური მომზადებისა და საჭიროებების შეფასება, რის საფუძველზეც გამოიყენება შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმები. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" მე-17 მე-18 მუხლებით რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო მე-19 მუხლით- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე პროგრამაზე არ სწავლობს სსსმ სტუდენტი. ინდივიდუალური მიდგომა ასევე მოიცავს დამატებით კონსულტაციებს, განმავითარებელ უკუკავშირს, საჭიროების შემთხვევაში სასწავლო მასალების ადაპტაციასა და სწავლების პროცესის მოქნილ ორგანიზებას. დაწესებულებას LMS პლატფორმაში აქვს შექმნილი შესაბამისი ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც სტუდენტი ნიშნავს განმახორციელებელთან კონსულტაციას ხელმისაწვდომი გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას და სწავლის პროცესში თანაბარ ჩართულობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი მოდულის (გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება განხორციელება ქ. თბილისის ა(ა)იპ საბავშვო ბაგა-ბაღებში, რისთვისაც ქ. თბილისის ა(ა)იპ საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი შიდა რეგულაციებითა და ორგანიზაციული ღონისძიებებით. დაცულია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები, ხოლო ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ დგას დამატებითი უსაფრთხოების წესების შემუშავების საჭიროება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის პაკეტი;
- „სასწავლო პროცესის მართვა";
- Zoom-ის ინვოისი;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" დოკუმენტის მეხუთე თავი, კერძოდ, 22-ე და 23-ე მუხლები, არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებულ მექანიზმებს. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა როგორც აღნიშნული მექანიზმი, ისე არსებული პრაქტიკა უკვე გავლილი მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებით. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ობიექტურ და კომპლექსურ შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები განსაზღვრულია წინასწარ და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. თითეულ ინსტრუმენტს გავლილი აქვს ვალიდიაცია, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობასა და სანდოობას. შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე და სამართლიანი - სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების ფორმების, კრიტერიუმებისა და ქულების მინიჭების წესების შესახებ, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17631 ბრძანებით(ცვლილება 15.01.2026 № 00000516 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომლის მესამე მუხლი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციასთან დაკაშირებულ საკითხებს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. შეფასების შედეგების გადამოწმება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტების ხარისხის კონტროლს და მიღებული შედეგების შესაბამისობის შემოწმებას განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. შპს „სქილვილ"-მა, როგორც ავტორიზირებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, პირველად სტუდენტთა მიღება განახორციელა 2025 წლის შემოდგომაზე. შესაბამისად, დაწესებულებას ვერიფიკაციის ჩატარების პრაქტიკა არ აქვს. დაწესებულებამ ვიზიტისას ექსპერტებს წარუდგინა შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის № 00028394 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამოქმედო გეგმა 2026", რომლის თანახმადაც დაწესებულება შეფასების ინსტრუმენტის, მტკიცებულებების და პროცესის ვერიფიკაციის პირველი ეტაპი დაგეგმილი აქვს 2026 წლის ივნისსა და ივლისში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ფორმდება დადგენილი წესით და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. აღნიშნული საკითხი რეგულირდება შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №00017632 ბრძანებით(ცვლილება 2025 წლის 23 დეკემბრის № 00027803 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის" 24-ე მუხლით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. როგორც განმახორციელებლებმა აღნიშნეს ექსპერტებთან გასაუბრებისას, შეფასების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტუდენტთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რაც საშუალებას იძლევა დაიგეგმოს შესაბამისი მხარდამჭერი აქტივობები. მიღებული შედეგები გამოიყენება კონსულტაციების, დამატებითი განმარტებების, ინდივიდუალური მუშაობისა და საჭიროების შემთხვევაში სწავლების პროცესის კორექტირების მიზნით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სასწავლო პროცესის მართვა“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამოქმედო გეგმა 2026";
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.03.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ვახიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა